ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლის 2022 წლის გაწეული ანგარიში.

ცაგერის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში მუშაობს 42 თანამშრომელი;ათი სპორტის სახეობა-ქართული ჭიდაობა-2;ძიუდო-2; სამბო-1;თავისუფალი ჭიდაობა-1;კალათბურთი-3;რაგბი-1;ჭადრაკი-1;მაგიდის ჩოგბურთი-1;კრივი-1;მკლავჭიდი-1 სექციები რომელშიც გაერთიანებული არის 200 ბავშვი.

სასპორტო სკოლამ სპორტული ღონისძიების კალენდრის მიხედვით ლაჯანის ზონის საჯარო სკოლებს შორის ჩაატარა შეჯიბრება: მკლავჭიდში, ჭადრაკში, კალათბურთში.

ცაგერის ზონის სკოლებს შორის ჭადრაკში და მკლავჭიდში.

სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებზე,საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებზე.

თბილისი:საქართველოს პირველობა ძიუდოში ვეტერანებს შორის სასპორტო სკოლის ძიუდოს მწვრთნელებმა ივანე ქურასბედიანმა და ირაკლი ხაბულიანმა დაიკავეს პირველი ადგილი.

მესტია:ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში ორი მეორე და სამი მესამე ადგილები.

ხაშური:საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის ერთი მესამე ადგილი.

ტყიბული:რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2009-2010,2011-12 წლებში დაბადებულთა შორის სამი მეორე და ხუთი მესამე ადგილი.

მესტია:ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2008-2009 2010-2012 წლებში დაბადებულთა შორის ორი მეორე და ექვსი მესამე ადგილი.

კასპი :რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2007-2009 წლებში დაბადებულთა შორის ერთი პირველი ერთი მეოთხე ადგილი.

საგარეჯო: ლევან თედიაშვილის და უშანგი კუზანაშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2005-2007 წლებში დაბადებულთ შორის სამი პირველი ადგილი.

ქარელი: რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ერთი მესამე და ერთი მეოთხე ადგილი.

ახალციხე: 2005-2007 წლებში დაბადებულთა შორის ქართულ ჭიდაობაში ორი მეორე და ორი მესამე ადგილი.

თბილისი: საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში სამი პირველი და ერთი მესამე ადგილი.

დედოფლისწყარო: რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2005-2007 წლებში დაბადებულთა შორის ერთი პირველი და ერთი მეორე ადგილი.

წყალტუბო:ლევან ზურაბიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში 2010-2011,2012-2013 წლებში დაბადებულთა შორის ორი პირველი ადგილი,ორი მეორე და ექვსი მესამე ადგილი.

თბილისი: ბიგანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ერთი მეორე და ერთი მესამე ადგილი.

ქუთაისი: იმერეთის ღია პირველობა ძიუდოში 2011-2012,2012-2013 წლებში დაბადებულთა შორის ერთი მეორე და ოთხი მესამე ადგილი.

თერჯოლა: ტურნირი ძიუდოში 2013-2014 წლებში დაბადებულთა შორის ორი პირველი,ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი.

ამბროლაური:გურამ საღარაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ორი მესამე ადგილი.

ბათუმი:საქართველოს პირველობა კრივში ჭაბუკებში ერთი მესამე ადგილი.

სასპორტო სკოლის რაგბის გუნდი ,,ცეკური,, წარმატებით ასპარეზობს დასავლეთ საქართველოს ბავშვთა საფესტივალო ტურნირებში.

თურქეთის ქ.ანთაქიაში ჩატარდა აბა ჭიდაობის მე-11 მსოფლიოს გუნდური პირველობა,სადაც აჭარის ნაკრებმა რომელშიც გამოდიოდა ნიკა ქომეთიანი დაიკავა გუნდური მესამე ადგილი.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ჩატარდა ახალგაზრდებს შორის ძიუდოში ევროპის თასის პირველობა ,სადაც წარმატებით გამოვიდა ნიკოლოზ ქომეთიანი და დაიკავა მესამე ადგილი.

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ჩატარდა მსოფლიოს პირველობა ძიუდოში ვეტერანებს შორის სადაც ივანე ქურასბედიანმა დაიკავა მესამე ადგილი.

ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი: კ. ქომეთიანი